

სახელფასო პროგრამით მომსახურების პირობები პრივატბანკის კლიენტებისთვის

- 1.1. მომხმარებლის დავალების საფუძველზე, ბანკი უზრუნველყოფს სახელფასო პროგრამით მომსახურებას, ამავე დავალებაში განსაზღვრული მომხმარებლის ანგარიშიდან, არსებული შრომითი ურთიერთობის საფუძველზე გადასახდელი თანხის (შემდგომში - თანხა) გადარიცხვა განხორციელდება ბანკში დადგენილი პირობების შესაბამისად თანამშრომლებისთვის ბანკში გახსნილ შესაბამის მულტისავალუტო ანგარიშებზე (შემდგომში - სახელფასო ანგარიშები) - (შემდგომში - სახელფასო პროგრამა).
- 1.2. ბანკი განახორციელებს პლასტიკური ბარათების (შემდგომში - ბარათები) დამზადებას და მათთან დაკავშირებული შესაბამისი მულტისავალუტო ანგარიშების გახსნას მომხმარებლის მომართვის საფუძველზე.
- 1.3. თანამშრომლებისათვის სახელფასო ანგარიშების გახსნისა და ბარათების დამზადების მოთხოვნისას მომხმარებელი ვალდებულია, არაუგვიანეს თანხის ჩარიცხვის მოთხოვნის ბანკისთვის წარდგენამდე 3 (სამი) საბანკო დღით ადრე, მიაწოდოს ბანკს აღნიშნული მოთხოვნა წერილობითი ფორმით, ყოველი ამგვარი მოთხოვნისთანავე მიაწოდოს ბანკს ელექტრონულად (მათ შორის პორტირებადი მეხსიერების ბარათის მეშვეობით), იმ თანამშრომელთა სია, რომლებსაც ბანკის მიერ უნდა გაეხსნათ სახელფასო ანგარიშები და დაუმზადდეთ სახელფასო ანგარიშებთან დაკავშირებული ბარათები. ამასთან, ელექტრონულად მიწოდებულ ფორმით განსაზღვრულ სიასა და წერილობითი ფორმით წარდგენილ სიას შორის შეუსაბამობის არსებობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ელექტრონულად მიწოდებულ სიას. ბარათის დაზიანების ან დაკარგვის ან მოქმედების ვადის გასვლის შემთხვევაში, დაზიანებული ან დაკარგული ან ვადაგასული ბარათის სანაცვლოდ ახალი ბარათის დამზადების მოთხოვნა მომხმარებლის მიერ ბანკს უნდა წარედგინოს წინამდებარე წესის შესაბამისად.
- 1.4. მომხმარებლის მიერ თანამშრომლების სიის მიწოდებიდან 1 (ერთი) საბანკო დღის ვადაში ბანკი უზრუნველყოფს შესაბამისი თანამშრომლების იდენტიფიკაციას.
- 1.5. თანამშრომლებისათვის სახელფასო ანგარიშების გახსნისა და ბარათების დამზადების მოთხოვნის ბანკისთვის წარდგენამდე მომხმარებელი ვალდებულია, უზრუნველყოს აღნიშნული მოთხოვნით განსაზღვრული თანამშრომლებისათვის ბანკის „საბანკო მომსახურების პირობების“ გაცნობა და გადაცემა სრულად.
- 1.6. მომხმარებელმა ყოველი მომართვიდან 7 (შვიდი) საბანკო დღის ვადაში მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე ბანკისგან უნდა მიიღოს: ა) შესაბამისი განაცხადები, მათთან დაკავშირებულ სხვა დოკუმენტებთან ერთად და უზრუნველყოს ზემოაღნიშნულ მოთხოვნაში განსაზღვრული თანამშრომლების მიერ აღნიშნული განაცხადების მათთან დაკავშირებულ დოკუმენტებთან ერთად პირადად და სრულყოფილად შევსება და ხელმოწერა; ბ) თანამშრომლების მიერ შევსებული და ხელმოწერილი განაცხადების და მათთან დაკავშირებული შესაბამისი დოკუმენტების საფუძველზე დამზადებული ბარათები (შესაბამისი დალუქულ კონვერტებთან ერთად, რომლებშიც მოთავსებულია დამზადებული ბარათის PIN კოდი) და უზრუნველყოს მათი გადაცემა შესაბამისი თანამშრომლებისათვის.
- 1.7. ზემოაღნიშნული 1.4 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის მიღებიდან 7 (შვიდი) საბანკო დღის ვადაში უზრუნველყოს შევსებული განაცხადების და მათთან დაკავშირებული დოკუმენტების მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე ბანკისათვის დაბრუნება, რის საფუძველზე ბანკი განახორციელებს დაბრუნებული განაცხადებით განსაზღვრული ბარათების გააქტიურებას.
- 1.8. თანამშრომლებისათვის სახელფასო ანგარიშებზე თანხის ჩარიცხვის მოთხოვნა ბანკს უნდა წარედგინოს როგორც წერილობით, ასევე ელექტრონულად (მათ შორის პორტირებადი მეხსიერების ბარათის მეშვეობით) ბანკის მიერ განსაზღვრული ფორმით (შემდგომში - სახელფასო უწყისი). წერილობითი ფორმით წარდგენილ სახელფასო უწყისსა და ელექტრონულად წარდგენილ შორის რაიმე შეუსაბამობის არსებობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ელექტრონულ ფორმას. იმ შემთხვევაში თუ მომხმარებელი სარგებლობს ბანკის დისტანციური მომსახურება - ინტერნეტ ბანკით (შემდგომში - ინტერნეტ ბანკი), მომხმარებელი უფლებამოსილია თანამშრომლებისათვის სახელფასო ანგარიშებზე თანხის ჩარიცხვის მოთხოვნა ბანკში მოქმედი პროცედურებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად მიაწოდოს ბანკს ინტერნეტ ბანკის მეშვეობით, ასეთ შემთხვევაში მომხმარებლის მიერ სახელფასო უწყისის წერილობითი ფორმით ბანკისთვის წარდგენა არ მოითხოვება. ამასთან, თუ თანამშრომლებისათვის სახელფასო ანგარიშებზე თანხის ჩარიცხვის მოთხოვნა განსაზღვრული განსაზღვრული წესების შესაბამისად მესამე პირების მიერ, ამ შემთხვევაში მომხმარებელს არ მოეთხოვება ბანკისთვის აღნიშნულ ჩარიცხვასთან დაკავშირებული რაიმე სახის დოკუმენტის წარდგენა და შესაბამისი ჩარიცხვის დავალების შესრულებაზე პასუხისმგებლობა სრულად ეკისრება შესაბამის მესამე პირს.
- 1.9. ბანკისთვის სახელფასო უწყისის წარდგენისას, სახელფასო უწყისით განსაზღვრულ ანგარიშზე უნდა არსებობდეს სახელფასო უწყისით განსაზღვრული ოდენობის თანხა. იმ შემთხვევაში თუ შესაბამის ანგარიშზე არ არის საკმარისი თანხა თანამშრომლებისათვის სახელფასო ანგარიშებზე თანხის ჩარიცხვის დავალებას ბანკი არ შესრულებს.
- 1.10. მომხმარებელი ვალდებულია გადაიხადოს სახელფასო პროგრამით სარგებლობის საკომისიო (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან/და ნებისმიერი სხვა სახის გადასახადი, რომელიც განსაზღვრულია ბანკის პირობებით.
- 1.11. თანამშრომლებისათვის თანხის ჩარიცხვა, უშუალოდ ან მესამე პირის მეშვეობით, აწარმოოს მხოლოდ ბანკში გახსნილ შესაბამის სახელფასო ანგარიშებზე. ამასთან, თანამშრომლებთან შრომითი ურთიერთობის დასრულების, თანამშრომლებისთვის თანხის სხვა ბანკში თუ ფინანსურ ინსტიტუტში გახსნილ ანგარიშებზე ჩარიცხვის დაწყების ან ნებისმიერი სხვა მიზეზით ბანკში გახსნილ სახელფასო ანგარიშებზე თანხის ჩარიცხვების შეწყვეტის შემთხვევაში, წერილობითი ფორმით აცნობოს ბანკს აღნიშნულის შესახებ 3 (სამი) საბანკო დღით ადრე.
- 1.12. თანამშრომელი უფლებამოსილია სახელფასო ანგარიშის გახსნისა და ბარათის დამზადების მოთხოვნით მიმართოს ბანკის ნებისმიერ სერვისცენტრს (შემდგომში - ინდივიდუალური მოთხოვნა). ინდივიდუალური მოთხოვნისას თითოეულმა თანამშრომელმა ბანკის სერვისცენტრში უნდა წარადგინოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და მომხმარებლის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი (შემდგომში - დოკუმენტი), რომლითაც: ა) განსაზღვრული უნდა იყოს შესაბამისი თანამშრომლის: ა.ა.) სახელი და გვარი; ა.ბ) თანამშრომლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მონაცემები, მათ შორის პირადი ნომერი; ბ) უნდა დასტურდებოდეს შესაბამისი თანამშრომლის მომხმარებელთან შრომით ურთიერთობაში ყოფნა. ამასთან, ბანკი უფლებამოსილია დაუკავშირდეს მომხმარებელს და მოსთხოვოს დოკუმენტის დაკორექტირება და ახლის წარმოდგენა. იმ შემთხვევაში თუ თანამშრომლ(ებ)ის მიერ განხორციელებული ინდივიდუალური მოთხოვნის საფუძველზე მოთხოვნილია დაზიანებული ან დაკარგული ან ვადაგასული ბარათის სანაცვლოდ ახალი ბარათის დამზადება და აღნიშნულ მოთხოვნამდე გასული 30 ოცდაათი კალენდარული დღის განმავლობაში მოთხოვნი თანამშრომლ(ებ)ის სახელფასო ანგარიშზე მომხმარებელს ჩარიცხული აქვს თანხა, დოკუმენტის წარდგენა ბანკისთვის არ მოითხოვება, მიუხედავად ზემოთ აღნიშნული დათქმისა ბანკი უფლებამოსილია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მოითხოვოს დოკუმენტის წარდგენა (შესაბამისი თანამშრომლ(ებ)ის მიერ).
- 1.13. მომხმარებელი უფლებამოსილია, იმ თანამშრომლებისათვის, რომლებიც უკვე ფლობენ ბანკის მიერ ემიტირებულ პლასტიკურ ბარათებს (შემდგომში - არსებული ბარათები) მოითხოვოს ბანკთან შეთანხმებული პირობების შესაბამისად თანხის ჩარიცხვა არსებულ ბარათებზე და არსებულ ბარათებზე ბანკთან შეთანხმებული პირობების გაგრძელება.

სახელფასო პროგრამით მომსახურების პირობები პრივატბანკის კლიენტებისთვის

- 1.14. **ბანკი** უფლებამოსილია:
- 1.14.1. **სახელფასო უწყისში თანამშრომლების** გვარში ან/და სახელსა და **სახელფასო ანგარიშის** ნომერს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში **თანხის** ჩარიცხვასთან დაკავშირებული დავალების შესრულებისას უპირატესობა მიანიჭოს **სახელფასო უწყისით** განსაზღვრულ **თანამშრომლების სახელფასო ანგარიშის** ნომერს ან არ შეასრულოს შეუსაბამობის მქონე კონკრეტული დავალება.
- 1.14.2. უკანონოდ ჩატარებული ოპერაციების (განისაზღვრება **ბანკის** შეხედულებისამებრ) აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ, უპირობოდ და ცალმხრივად შეაჩეროს **ბარათების** მოქმედება, რაც არ ჩაითვლება **ბანკის** მხრიდან რაიმე ვალდებულების დარღვევად.
- 1.14.3. კანონმდებლობით განსაზღვრული პირობების საფუძველზე უარი თქვას **თანამშრომლებისათვის ბარათების** დამზადებაზე ან/და **სახელფასო ანგარიშების** გახსნაზე.
- 1.14.4. **თანამშრომლებთან** შრომითი ურთიერთობის დასრულების, **თანამშრომლებისთვის თანხის** სხვა ბანკში თუ ფინანსურ ინსტიტუტში გახსნილ ანგარიშებზე ჩარიცხვის დაწყების ან ნებისმიერი სხვა მიზეზით **ბანკში** გახსნილ **სახელფასო ანგარიშებზე თანხის** ჩარიცხვების შეწყვეტის შემთხვევაში, შეტყობინების მიღებიდან ნებისმიერ დროს, აღნიშნულ შეტყობინებაში განსაზღვრულ **თანამშრომლებს** მომსახურება გაუწიოს მომსახურების გაწევის მომენტში **ბანკში** მოქმედი სტანდარტული ტარიფების შესაბამისად.
- 1.14.5. ცალმხრივად **მომხმარებლის** წინასწარი თუ დამატებითი თანხმობისა და აქცეპტის გარეშე დაუყოვნებლივ შეწყვიტოს **სახელფასო პროგრამა** იმ შემთხვევაში, თუ ს.ს. „პრივატბანკის“ ს.ს. „საქართველოს ბანკთან“ შერწყმიდან 3 (სამი) საანგარიშო თვის განმავლობაში **მომხმარებელი** არ განახორციელებს **თანამშრომლებისათვის სახელფასო ანგარიშების** გახსნისა და **ბარათების** დამზადების მოთხოვნას ან/და **თანამშრომლებისათვის თანხის** ჩარიცხვას.
- 1.14.6. ცალმხრივად **მომხმარებლის** წინასწარი თუ დამატებითი თანხმობისა და აქცეპტის გარეშე **ბანკში** არსებული **მომხმარებლის** ნებისმიერი **ანგარიშიდან** ჩამოწეროს იმ **ბარათების** დამზადების გადაუხდეელი საკომისიო, რომელთა დამზადებიდან 90 (ოთხმოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში არ განხორციელდა **ბარათების ბანკისგან** მიღება **მომხმარებლის** ან/და მისი შესაბამის **თანამშრომლის** მიერ. ამასთან, **1.14.7. პუნქტით** განსაზღვრული უფლებამოსილების გამოყენების შემთხვევაში დამზადების საკომისიოს ჩამოჭრისას მხედველობაში მიიღება ყოველი კონკრეტული ჩამოჭრის მომენტისათვის **ბანკში ბარათების** დამზადებისთვის დადგენილი სტანდარტული საკომისიოს მოცულობა.
- 1.14.7. ცალმხრივად **მომხმარებლის** წინასწარი თუ დამატებითი თანხმობისა და აქცეპტის გარეშე გააუქმოს **1.14.6. პუნქტით** განსაზღვრული **ბარათები** და შესაბამისი გაუქმების მომენტში **ბანკში** მოქმედის პირობების შესაბამისად დახუროს აღნიშნულ **ბარათებთან** დაკავშირებული **სახელფასო ანგარიშები** ან გაავრცელოს აღნიშნულ **ბარათებზე** და მათთან დაკავშირებულ **სახელფასო ანგარიშებზე ბანკში** მოქმედი სტანდარტული საკომისიოები.

თანამშრომლების მომსახურების შედაგათიანი ტარიფები (მოქმედა შერწყმიდან ერთი საანგარიშო წლის განმავლობაში)

საკომისიოს დასახელება	საკომისიოს მოცულობა
სახელფასო ბარათის დამზადება	უფასო
სახელფასო ბარათის ყოველწლიური მომსახურება	უფასო
სახელფასო ბარათთან დაკავშირებული ანგარიშის მომსახურება	უფასო
სახელფასო ბარათთან დაკავშირებული ანგარიშის გახსნა	უფასო
სახელფასო ბარათთან დაკავშირებულ ანგარიშზე მინიმალური ნაშთი	არ მოითხოვება
სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში გადახდის ოპერაციების საკომისიო	0